

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა
საბჭოს სხდომის

ოქმი № 2

ქ. ლაგოდეხი

2016 წელი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომის

ოქმი №2

2016 წლის 26 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

სხდომა მოწვეულ იქნა ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით
სხდომა დაიწყო 15:00 საათზე

სხდომას ესწრებდნენ:

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი - კარლო ჯამბურია; იურიდიული სამსახურის უფროსი - ნინო ბატიაშვილი; საფინანსო, საბიუჯეტო ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - გიორგი მანგოშვილი.

საბჭოს წევრები: თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის“ (საგა) გამგებლის თავმჯდომარე; ვალდიმერ სეირანოვი - მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდიმერ სეირანოვი (ქ. ლაგოდებში სასურსათო მაღაზია „ვადოს“ მფლობელი); მარიამ ქადაგიძე - მეწარმე სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე (ქ. ლაგოდებში „საოჯახო სასტუმრო კვიციანის“ მფლობელი); ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდების პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი); მარინა პეიტრიშვილი - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდების მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი); ლინა გაგიცვა - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდების პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი) გივი შუბითიძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი) და დავით ლომიძე (მეწარმე სუბიექტი შ.პ.ს. „კაკასიონის“ დირექტორი).

სხდომაზე არ გამოცხადდნენ საბჭოს წევრები - მინდია დუმბაძე, გელა თედევი და ლევანი ბარბაქაძე რომელსაც ეცნობა სხდომის დღის შესახებ, თუმცა გამოუცხადებლობის მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

•••

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი მიესალმა საბჭოს წევრებს და აუხსნა, რომ საბჭოს სხდომა მოწვეულ იქნა მისი ინიციატივით. საკითხი ეხება სოფელ ჰერეთისკარში მცხოვრებ რვაასულიან ოჯახს, რომელსაც ძალიან მძიმე პირობებში

უწევთ ცხოვრება. ეს ოჯახი ცხოვრობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ნანგრევებში, რომელსაც არა აქვს სახურავი და ფანჯრები. არასრულწლოვანი ბავშვები ვერ იღებენ განათლებას, სკოლაში საერთოდ არ დადიან, საშინელ პირობებში ცხოვრობენ, იატაკის, ჰიგიენისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გარეშე. მძიმე ზამთრის გატარება ამ ოჯახს ფაქტიურად უწევს ღია ცის ქვეშ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის უკვე წლებია ცნობილია ამ ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობის შესახებ, რის გამოც გაცემულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებები, თუმცა პრობლემა არა თუ შემსუბუქებული არამედ უფრო გამწვავებულია.

ახალი ორგანიზებული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედების შემდეგ, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა ჩამონათვალს დემატა „უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია“. თუმცა მწირი ბიუჯეტის გამო, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის ასახული უსახლკაროებისათვის საცხოვრებელი სახლის შესაძენად გათვალისწინებული რესურსი. მუნიციპალიტეტში მსგავსი ტიპის ოჯახების ზრუნვის მექანიზმად შემუშავებულია „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა“, რომელიც ბიუჯეტთან ერთად ყოველწლიურად მტკიცდება საკრებულოს ნორმატიული აქტით. ხსენებული პროგრამის ერთ-ერთი მიზანი და ამოცანაა „უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია“. პროგრამის თანახმად, მსგავსი კატეგორიის ოჯახებზე დახმარების განხორციელების მექანიზმად დადგენილია დროებით თავშესაფრის დასაქირავებლად ბინის ქირის გადახდა, ქირის ოდენობის მაქსიმალურ ოდენობად კი დადგენილია 100 ლარი. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტი მსგავსი ტიპის სულ - 16 ოჯახს უწევს დახმარებას. მიუხედავად მუნიციპალიტეტში მოქმედი ზემო ხსენებული პროგრამისა, ოჯახის დახმარება ვერ შეძლო მუნიციპალიტეტმა, სხვადასხვა გარემოებების გამო. ზოგიერთ შემთხვევაში მესაკუთრებმა არ მოისურვეს მრავალშვილიანი ოჯახისათვის ბინის მიქირავება, ზოგიერთ შემთხვევაში ბინის ქირა იყო არასაკმარისი. ზოგიერთ შემთხვევაში ბინის მფლობელებს ბინა არ ჰქონდათ საკუთრებაში რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტის მხრიდან იყო ასევე შეთავაზება სხვა სოფელში სარგებლობის უფლებით საცხოვრებელ სახლზე. თუმცა ოჯახმა არ მოისურვა, ვინაიდან სოფელ ჰერეთისკარში სოფლის ნახირს მწყემსავს საიდანაც იღებს გარკვეულ შემოსავალს, ზოლო შვილები ტყეში სოკოს აგროვებენ და ამით ირჩენენ თავს. სოფელში ყველამ იცის ამ ოჯახის გაჭირვების შესახებ. ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობა, ასევე სოციალური სააგენტო და მოსახლეობა ცდილობს დაეხმაროს ამ ოჯახს, თუმცა, მათი მთავარი პრობლემა საცხოვრებელი სახლია, რომლის შეძენასაც ვერაფრით ახერხებენ. ამა წლის 23 დეკემბერს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სემოვიდა განცხადება და სოფელ ჰერეთისკარში არსებული სათემო კავშირი, ჰერეთის“ შუამდგომლობა, რომელშიც უთითებენ რომ სოფელ საქობოში იყდება სახლი, რომლის შეძენაც სურს ამ ოჯახს, მაგრამ უსახსრობის გამო, ვერ ახერხებენ. სახლის ღირებულებაა 12 000 ლარი და ითხოვენ მის შეძენას. ამავე დღეს სემოვიდა გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა, რომელიც

მხარს უჭერს ამ საკითხს და ითხოვს შესაძლებლობის ფარგლებში მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი საზოგადოების ინტერესის შემცველია და მუნიციპალიტეტს მსავსი საკითხი არასდროს გადაუწყვეტია, მივიჩნევ რომ ამ საკითხის განხილვა უნდა მომხდარიყო სამოქალაქო მრეველთა საბჭოს მიერ.

წარმოგიდგენთ ფოტომასალასა და მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულ დოკუმენტაციას, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლოა იმსჯელოს სამოქალაქო მრეველთა საბჭომ საკითხის გადაწყვეტის თაობაზე.

სამოქალაქო მრეველთა საბჭოს წევრებმა განიხილეს საკითხი, წარმოდგენილი დოკუმენტები, ფოტომასალა და ერთხმად

გადაწყვიტეს:

განცხადება და შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ასახოს ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი თანხები და უზრუნველყოს მრავალშემიღიანი ოჯახის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარე: ნ. ბაბუქიძე ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი);

საბჭოს მდივანი: ა. მელიქიძე თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის“ (საგა) გამგეობის თავმჯდომარე;




საბჭოს წევრები:

ვალდიმერ სეირანოვი ვ. სეირანოვი მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდიმერ სეირანოვი (ქ. ლაგოდეხში სასურსათო მაღაზია „ვადოს“ მფლობელი);

მარიამ ქადაგიძე მ. ქადაგიძე მეწარმე სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე (ქ. ლაგოდეხში „საოჯახო სასტუმრო კივის სახლის“ მფლობელი);

მარინა პეტრიშვილი მ. პეტრიშვილი მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი);

ლინა გაგიევა ლ. გაგიევა მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი)

გივი შუბითიძე  მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი).
დავით ლომიძე  (მუწარმე სუბიექტი შ.პ.ს. „კავკასიონის“ დირექტორი)
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი  კარლო ჯამბურია;

სხდომა დასრულდა 16:00 საათზე

N 2

26.12.2016 წ.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა :

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86¹ მუხლის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 ოქტომბრის N2/1395 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებისა“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 206 დეკემბრის სხდომის ოქმი N2-ის შესაბამისად:

განცხადება და შუამდგომლობები დაკმაყოფილოს მუნიციპალიტეტის გამგებამ, ასახოს ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი თანხები და უზრუნველყოს მრავალშვილიანი ოჯახის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ნ. ზონიძე

ნათუნა ბარბაქაძე